გასულ წლებში საგარეჯოს რაიონში და სხვა მევენახეობის რაიონებშიც ყურძნის ჯიშ „მწვანეზე" სუბსიდიას ვერ იღებდა გლეხი, ამ ჯიშისათვის სახელმწიფო არ გამოყოფდა სუბსიდიას, მიმდინარე წლის რთველში კი ეს პრობლემა მოხსნილია. სუბსიდია გათვალისწინებულია, როგორც „რქაწითელზე", ასევე „მწვანეზეც". ამ შემთხვევაში ორივე ჯიში გავა შერეული ყურძნის კატეგორიაში. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ყურძნის ჯიშთან „საფერავი", არ უნდა იყოს შერეული არც აზორიგენული და არც ჰიბრიდული ჯიშის ყურძენი, თუნდაც „კაბერნეს" და „პინოს" ჯიშის.

საინტერესოა ისიც, რომ გლეხს, მევენახეს, რამდენი ჰექტარი ვენახიც არ უნდა ჰქონდეს და რა რაოდენობის მოსავალიც არ უნდა მოიწიოს, მას შეუძლია უკლებლივ მიიტანოს საწარმოში, მიიღოს სახელმწიფო სუფსიდია. მაგრამ, თუ აღნიშნული გლეხი, მევენახე, დარეგისტრირებულია როგორც იურიდიული პირი – არის ინდმეწარმე, ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (მევენახეობის დარგი) დირექტორი, ის სახელმწიფოსაგან ვერ მიიღებს სუბსიდიას.

„რთველი-2013"-ის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებს. მან, რწმუნებულმა მუნიციპალიტეტის მოქმედი შტაბისგან (რომელიც მუნიციპალიტეტის გამგეობაში იქნება შექმნილი) მიწოდებული ქვოტა (ჩასაბარებელი ყურძნის ოდენობები სახეობების მიხედვით) უნდა გადაანაწილოს ფიზიკურ პირებზე იმ ფორმის ზუსტი დაცვით, რომელიც მათ ცნობის (ბლანკის) ფორმით მიეცემათ, აქ აღნიშნული იქნება ფიზიკური პირის ყველა მონაცემი – ვინაობა, პირადი ნომერი, მისამართი (ან ტერიტორიული ორგანოს დასახელება), ტელეფონის ნომერი, ვენახის ფართობი, მოწეული მოსავლის ან საწარმოსათვის მისაყიდი ყურძნის სავარაუდო (მიახლოებით) ოდენობა, ყურძნის გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალების მონაცემები და სრული სიზუსტით უნდა იქნეს მინიშნებული ყურძნის საწარმოში მიტანისა და მიყიდვის თარიღი. იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირი ვერ მოახერხებს აღნიშნულ დღეს ყურძნის მიტანას და მიყიდვას საწარმოსათვის, მაშინ რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობა უქმდება თავად რწმუნებულის მიერ და ფიზიკურ პირზე ახლიდან გამოიწერება ცნობა, ზუსტად მითითებული თარიღით. რწმუნებულმა ცნობით გაცემული ყურძნის ოდენობა ზონის კოორდინატორებს ყოველდღიურ რეჟიმში უნდა აცნობოს.

ამასთან, რწმუნებულებმა, ცნობის გაცემის პარალელურად, სავალდებულო რეჟიმში უნდა აწარმოონ ჟურნალი, სადაც აღრიცხავენ გაცემულ ცნობას – ფიზიკური პირის გვარის, სახელის, სოფლის, ფართობის, ჩასაბარებელი ოდენობის, პირადი ნომრის, გაცემული ცნობის ნომრის და გაცემის თარიღის მითითებით.

შტაბიდან, ზონის კოორდინატორიდან მუნიციპალიტეტის გამგეობებს (გამგებელი, მომაგრებული მოადგილე, წარმომადგენელი) მიეწოდებათ რაიონისათვის გათვალისწინებული ქვოტები (ჩასაბარებელი ყურძნის ოდენობები სახეობების მიხედვით) მიმღები ქარხნის მითითებით ყოველდღიურად.

ბატონმა როსტომ ბაქრაძემ უპასუხა ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულთა მიერ დასმულ შეკითხვებს, რომლებიც აღნიშნული საკითხის გაცნობის შემდეგ წარმოიშვა.

# მუნიციპალიტეტში «რთველი-2013» კაკაბეთიდან დაიწყო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში რთველი ტრადიციულად გურჯაანის რაიონის მოსაზღვრე სოფლებიდან – შიბლიანიდან და მზისგულიდან იწყება ხოლმე, მაგრამ წელს ეს ტრადიცია დაირღვა. 9 სექტემბერს კაკაბეთში ფიზიკურმა პირმა თეიმურაზ ჭეიშვილმა, პირველმა მუნიციპალიტეტში, გაჭრა კახეთის გზატკეცილთან მდებარე ვენახები და „მწვანეს" ჯიშის ყურძნის პირველი მოსავალი გააგზავნა ახმეტის ღვინის ქარხანაში – კახეთის ტრადიციული მეღვინეობის კომპანიისათვის ჩასაბარებლად. მასიური რთვლის დაწყებას კი მუნიციპალიტეტში 16 სექტემბრიდან ვარაუდობენ. როგორც ჩვენთან საუბარში ***„რთველი-2013"-ის რაიონული ცენტრის კოორდინატორმა* გიორგი ბუჩაშვილმა** აღნიშნა, წელს მუნიციპალიტეტში მთლიანობაში მოსალოდნელია 3470 ტონა „საფერავის", 12375 ტონა „რქაწითელის", 1016 ტონა „მწვანეს" და 124 ტონა ჰიბრიდული ჯიშის ყურძნის მოსავალი.

გლეხებისაგან და ყურძნის სხვა მწარმოებელი პირებისაგან ყურძენს დადგენილი წესებისა და ფასების მიხედვით წელს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ღვინის მწარმოებელი კომპანიები – 6 ყურძნის პირველად ქარხანაში ჩაიბარებენ. ესენია: სააქციო საზოგადოება „ბადიაური" (დირ. თ. გეგეშიძე), სს „მანავი„ (დირ. ზ. მჭედლიშვილი), შპს „საამოს" საგარეჯოს პირველადი ღვინის გადამამუშავებელი ქარხანა (დირ. თ. ქვლივიძე), შპს „გილენი" (დირ. გ. ხვიტია), შპს „ბატონო" (ზ. დეკანოზიშვილი), შპს „კახეთი-3000" (გ. ერბოწონაშვილი).

„რთველი-2013"-ის ცენტრალური შტაბი იმუშავებს ქ. გურჯაანში სასტუმრო „რები გურჯაანში" 24 საათის განმავლობაში. ცხელი ხაზის ნომერია: 247-01-01, რომელსაც შეიძლება მიმართოს ყველამ რთველთან დაკავშირებულ საკითხებში გასარკვევად.

*გ. დაბახიშვილი*

# შეხვედრები მოსახლეობასთან


შეხვედრა იორმუღანლოელებთან

6 სექტემბერს ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი* ცისმარ თედიაშვილი** ამავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების – ლამბალოსა და იორმუღანლოს მოსახლეობას შეხვდა. ლამბალოს (რწმუნებული მუბარიზ მამედოვი) მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა შეხვედრაზე ის პრობლემები წარმოაჩინა, რომლის მოგვარებასაც ბოლო 3-4 წელიწადია ვერ ახერხებენ. საკითხი შეეხება იმ მიწებს, რომლებიც მოიჯარეებმა სხვა ოჯახებთან შეუთანხმებლად შეისყიდეს და ბევრი ოჯახი მიწის გარეშე დატოვეს. შეკრებილთა ერთმა ნაწილმა უკმაყოფილება გამოთქვა სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის" საგარეჯოს ელექტროსერვისის მიმართ, კერძოდ ცენტრალური ელექტროგადამცემი სადენების გამოცვლისას მათ ყურადღება არ მიაქციეს და ზოგიერთი აბონენტი ელექტროენერგიის გარეშე დატოვეს – ცენტრალური ელექტროსადენებიდან განაპირა უბნებში არსებული ზოგიერთი აბონენტის სახლამდე სადენები არ გაიყვანეს, საკუთარი სახსრებით აბონენტს ელექტროენერგიის სახლამდე მიყვანა კი ძვირი უჯდება. ასევე, ლამბალოს მოსახლეობამ ითხოვა სოფლის ცენტრალური გზის მოწესრიგება.

იორმუღანლოს (რწმუნებული ნათიკ რასულოვი) მოსახლეობამ სასმელი წყლისა და სარწყავი წყლის დეფიციტზე ისაუბრა. როგორც მათ აღნიშნეს, ეს პრობლემა ოთხივე თემის მოსახლეობას აწუხებს. ამასთან, ოთხივე თემის მოსახლეობას აწუხებს დაზიანებული გზა, სადაც უამინდობის შემთხვევაში ტრანსპორტითაც კი ჭირს მოძრაობა. იორმუღანლოელებმა ასევე ისაუბრეს ბუნებრივი აირის სახლამდე მიყვანის სიძნელეებზე, კერძოდ, აღნიშნეს, რომ ცენტრალური ბუნებრივი აირგამტარი მილებიდან ოჯახებამდე მიყვანა სულ უახლოეს მანძილზეც კი 800-1000 ლარი ჯდება. როგორც არზუმან აბასოვმა აღნიშნა, სოფელს, სადაც 4000 მცხოვრებია, საძოვარი საერთოდ არ გააჩნია.


ლამბალოელებთან

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ცისმარ თედიაშვილი მოსახლეობა ესაუბრა საქართველოში არსებულ დღევანდელ სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე, იმ ამოცანებზე, რომელიც მუნიციპალიტეტის გამგეობას და საკრებულოს აქვს დასახული მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად და მათ მიერ წამოჭრილი ზოგიერთი საკითხის საფუძვლიანად შესწავლას დაჰპირდათ.

## გვიხმობს ზარი სექტემბრის

# მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში ახალი სასწავლო წლის სამზადისი დასრულდა

კარს მოგვადგა 16 სექტემბერი. მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი, რომელმაც საფუძველი უნდა ჩაუყაროს ქვეყნის ხვალინდელ განათლებულ და ერუდირებულ მომავალს. სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად ეს გარკვეულწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესაფერის სასწავლო გარემოში მოუწევთ მათ ცოდნის დაუფლება. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ვეწვიეთ ***საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს* მანანა ცუცქირიძეს**, რომელსაც რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

***– ქნო მანანა, როგორ ეგებებიან მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები ახალი სასწავლო წლის დაწყებას, როგორი გარემო დახვდებათ სკოლებში მისულ მოსწავლეებს, მათ პედაგოგებს?***

– თქმა იმისა, რომ ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებში მისულ ჩვენს მოსწავლეებს იდეალური თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პირობები დახვდებათ, გადაჭარბებული იქნება, მაგრამ, ზემდგომი ორგანოების დახმარებით ჩვენს სკოლებში გარდა ერთეული გამონაკლისებისა, შექმნილია ისეთი გარემო, სადაც შესაძლებელია სასწავლო პროცესის ნორმალური განახლება და წარმართვა.

***– ამ გამონაკლისებში ალბათ ლამბალოს საჯარო სკოლას გულისხმობთ, არა?***

– კი. როგორც მოგეხსენებათ, ამ საჯარო სკოლას არ გააჩნია საკუთარი შენობა, მაგრამ ამ დღეებში გადაწყდა, რომ სულ მალე დაიწყება მშენებლობა და ერთხელ და სამუდამოდ დაესმევა წერტილი აქაური მოსწავლეებისა და მათი პედაგოგების გაჭირვებას.

***– დასრულდა თუ არა არდადეგებზე მუნიციპალიტეტის 6 საჯარო სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოები?***

– ეს პროექტი უკვე კარგა ხანია დასრულდა და მასში ჩართული სკოლები ამ მხრივ სრულ წესრიგში ეგებებიან ახალი სასწავლო წლის დაწყებას. კერძოდ, ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები უდაბნოს საჯარო სკოლაში. მოხდა კარ-ფანჯრებისა და შენობის სახურავის რეაბილიტაცია, კაკაბეთის სკოლის შენობას შეეცვალა სახურავი, ყანდაურის სკოლის შენობას შეეცვალა კარ-ფანჯარა და სახურავი, პატარა ჩაილურის, ნინოწმინდისა და საგარეჯოს III საჯარო სკოლებში შეიცვალა კარ-ფანჯრები.

***– როგორც შევიტყვეთ, იორმუღანლოს საჯარო სკოლის ერთ კორპუსში მოხდა კარ-ფანჯრების შეცვლა, შეიყვანეს ბუნებრივი აირი და დამონტაჟდა გათბობა.***

– ეს სამუშაოები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არ დაუფინანსებია. ისინი სკოლის ბიუჯეტით დაფინანსდა.

***– მოესწრება თუ არა ამ სკოლის ახალი სასწავლო კორპუსის ახალი სასწავლო წლისათვის ექსპლოატაციაში გაშვება?***

– სხვადასხვა მიზეზებით სამწუხაროდ, ეს ამ სასწავლო წლის დასაწყისისათვის არ ხერხდება.

***– როგორც საუბრის დასაწყისში თქვენ ახსენეთ, მალე დაიწყება ლამბალოს სკოლის მშენებლობა. რამდენად მალე მოხდება ეს?***

– დაზუსტებით იმის თქმა, თუ როდის მოხდება ეს, მე ამის თქმა არ შემიძლია, მაგრამ უკვე გადაწყდა მშენებლობის დაწყება და გვპირდებიან, რომ უახლოეს ხანებში მშენებლები უკვე შეუდგებიან საქმეს.

***– რამდენ პირველკლასელს ელოდება მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო ქსელი ახალი სასწავლო წლისათვის?***

– ამ სასწავლო წლისათვის ახალი შევსების სახით ზოგადსაგანმანათლებლო ქსელი მიიღებს 700-მდე პირველკლასელს, რომელთაც ადგილებზე დახვდებათ ჩვენი მთავრობის საჩუქრები – ახალი სახელმძღვანელოები და ნეთბუქები.

*გ. დაბახიშვილი*

## 16 სექტემბერს ახალი სასწავლო წელი იწყება

# სკოლის მონატრება




## სწავლა იწყება

ივნისში გულდაწყვეტილი დავემშვიდობე ჩემს თანაკლასელებს. ვისვენებდი დედაჩემის მშობლიურ კუთხეში – იმერეთში, მაგრამ იქაც ჩემი ამხანაგები მენატრებოდნენ. კარგია ზაფხული, მაგრამ უფრო კარგია, როცა შენს ამხანაგებთან ხარ. წავიკითხე წიგნები „უფლისწული და მათხოვარი", „უსახლკარო". ჩვენი სკოლა ყველაზე ლამაზი სკოლაა, კეთილმოწყობილი. აქ ძალიან გულისხმიერი მასწავლებლები არიან, ამიტომაც სიხარულით ველოდები ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

*ვეკო ლასურაშვილი,*
***საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე***

## არდადეგებზე თანატოლები მომენატრა

მეგობრული კლასი გვაქვს. ბევრი კარგად ვსწავლობთ. გვიყვარს ჩვენი პირველი მასწავლებლები ანა არჩუაძე და ლალი ქაიხოსროშვილი. მათ ერთმანეთს დაგვამეგობრეს. ამიტომაც დიდი მონატრება მქონდა ჩემი მასწავლებლების და ჩემი კლასელების. ხშირად ერთმანეთს ტელეფონით ვესაუბრებოდით, ზოგჯერ ერთმანეთს ვსტუმრობდით და მაშინ იწყებოდა მასპინძლის აფორიაქებაც: ვცეკვავდით, ვმღეროდით, ვერთობოდით.

ზაფხულში ზღვაზე ვისვენებდი დედასთან ერთად. წავიკითხე წიგნები: „პინოქიოს თავგადასავალი", რეზო ინანიშვილის „კეთილი მიწა", ქართული ზღაპრები.

დიდი სამზადისი მაქვს ახალი სასწავლო წლის I დღისათვის. მიხარია ის, რომ ჩემს თანაკლასელებს ვნახავ, ჩემს მასწავლებლებს და ჩემს საყვარელ სკოლას, გავიგონებ ჩემი სკოლის ზარს, რომელიც გაკვეთილების დაწყების მაუწყებელია.

მშვიდობით ზაფხულო! გამარჯობა სკოლა!

*მარიამ ქურდოვანიძე,*
***საგარეჯოს I საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლე.***

## ნატა ქაიხოსროშვილი



***საგარეჯოს I საჯარო სკოლის მეხუთეკლასელია.*** წყნარი, მორიდებული, ნიჭიერი – უყვარს მეცადინეობა – არავისი შეხსენება არ სჭირდება. დაკვირვებით, ინტერესით სწავლობს და კითხულობს ყველა წიგნს, რომელიც მისი ასაკისთვისაა შესაფერისი. მორიდებული, სიტყვაძუნწია, როცა საქმე სკოლის, კლასის ამბებს ეხება. დედას და მამას არ მოუყვება არაფერს. იცის, რომ ის მისია, მისი კლასელები არიან და მხოლოდ ნატას კუთვნილებაა კლასის, ამხანაგების ამბები. თუმცა, იცის, რომ ლიზი მისი კლასის ამბებსაც გაიგებს და დედიკოს „ჩაუკენჭავს". ნატა ინტერესით ელოდება 16 სექტემბრის დადგომას, მეხუთეკლასელმა ახალი საგნები, ახალი მასწავლებლები უნდა გაიცნოს. ამიტომაც გვიმხელს თავის გულისნადებს: „მეხუთე კლასში გადავედი, მეცვლება მასწავლებლები. ამიტომ ახალ მასწავლებლებს იმედს არ გავუცრუებ. სკოლა ძალიან მომენატრა, განსაკუთრებით კლასელები, ჩემი ძველი მასწავლებლები. მომენატრა წრეებზე სიარულიც და გაკვეთილების მომზადებაც".

## ლიზი ქაიხოსროშვილი



***საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის მეორეკლასელია*** – სიცოცხლითა და ინტერესებით სავსე, მოუსვენარი, ოჯახის წევრებზე ფიქრსა და ზრუნვაში დღეჩამოღამებული. გგონიათ ადვილია სამსახურში წამსვლელი დედმამისათვის მისებურად თვალის მიდევნება, გასტუმრება, გამოთხოვების სცენა? შემდეგ უფროს დას უნდა მიხედვა, უბანში სიტუაციის გაკონტროლება, სახლის დალაგება, წიგნებს, ჟურნალებს წაკითხვა. ყველაფერს ამას დიდი მონდომებით, თავდაჯერებულობით, ხალისით აკეთებს და აკეთებს სიმღერით. ლიდერობის დიდ უნართან ერთად (რაც ზევითაც ჩამოვთვალეთ) სიმღერის დიდი ნიჭი აქვს. ეს გენებიდან, იმერელი მანანა ბებოს გენიდან მოსდევს. ზაფხულიც ხომ ისეთია, თავადვე რომ აგამღერებს და მთელი დღე ლიზი მღერის თავის ეზოში, სახლში, უბანში, საღამოს კი ჭრიჭინებიც აჰყვებიან და კარგი „დუეტი" გამოსდით. ახლა სიხარულით დაფრინავს ლიზი, მალე სწავლა დაიწყება.

აი, წერილი, რომელიც მან მომწერა და თავისი მონატრება გამიმჟღავნა: „ძალიან მინდა სწავლა მალე დაიწყოს. მომენატრნენ მასწავლებლები და ბავშვები, ცეკვაზე და სიმღერაზე სიარული".

№17(55) 2013 წელი, 1-15 სექტემბერი

## გვიხმობს ზარი სექტემბრის

# მეათე თაობის მოლოდინში



თუ მკითხავთ, ვინ ვარ? – ***მე ვარ გიული გრძელიშვილი, საგარეჯოს II საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი,*** რომელმაც ცხოვრების უმეტესი წლები ჩემს მშობლიურ სკოლაში გავატარე. აქ შემიყვანეს I კლასში, ეს სკოლა დავამთავრე და ჩემი პედაგოგიური საქმიანობაც აქ დავიწყე, ჯერ უფროს პიონერხელმძღვანელად, შემდეგ-მასწავლებლად. უკვე ცხრა თაობა დავაფრთიანე. მეათე თაობის პირველკლასელებს ველი ახალ სასწავლო წელს. ოთხი წელიწადი მოთმინებით, სიყვარულით „ვძერწავდი" მათ სულებს, ვასწავლიდი სიკეთეს, დათმობას, მეგობრობას, ერთმანეთის პატივისცემას, ოჯახისა და ქვეყნის სიყვარულს, ბრძოლას სიმართლისა და უკეთესი მომავლისათვის. მიხარია, როცა ჩემი სკოლის მოსწავლეებს და განსაკუთრებით ჩემი ნამოწაფრების მეგობრობის, თანადგომის, წარმატების ამბავს ვიგებ, სიამაყით მევსება გული. ეს გრძნობები ხომ პატარაობიდანვე ინერგება, იზრდება, ყალიბდება. სათქმელად ადვილია, მაგრამ გიფიქრიათ, რამდენი მცდელობა, შრომა და ჯაფა სჭირდება თითოეული მოსწავლისგან დაბრკოლების გადალახვას, წარმატების მიღწევას? ერთი საყვედური, თუნდაც მოზომილი, შეიძლება ბავშვსაც და მის მშობელსაც სამუდამოდ დაამახსოვრდეს, მაგრამ რამდენი მოფერება, მზრუნველობა და სიყვარული უნდა გაიღოს ოთხი წლის განმავლობაში დაწყებითი კლასების მასწავლებელმა, რომ წარმატებას მიაღწიოს მისმა მოსწავლემ.

დიდ ილიას მოვიშველიებ: „ეს ოთხი წელიწადი... ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა... იმისთვის, ვინც მონდომებულია – „ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, ფეხი აადგმევინოს". ეს ოთხი წელიწადია, რომელიც ბავშვის ...„ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლ-ყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა!"

ჩემმა მეცხრე თაობამ წელს სკოლა დაამთავრა. მეცხრე ცაზე იყვნენ ასულები, სიხარულით და იმედებით სავსენი. ასეთი სიხარულით და იმედებით გააგრძელებენ



ცხოვრების გზას. წარმატებებს გილოცავთ, ჩემო მეგობრებო და კვლავ ახალ წარმატებებს გისურვებთ. თუ ვინმემ წაიფორთხილა, გახსოვდეთ, ეს ახლის დასაწყისია – გამარჯვების.

მეკითხებიან, ვინ არის ჩემი სიყვარული და გამორჩეული, ყველაზე წარმატებული მოსწავლე. ბევრმა შეძლო საკუთარი ძალების რეალიზება, ბევრმა ვერ მოახერხა, პირადი და არსებული საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო. მინდა გითხრათ, რომ ჩემთვის ყველა მოსწავლე საყვარელი და გამორჩეულია. პატივს ვცემ მათ პიროვნებას და საქმიანობას.

ბრძოლა ცხოვრების გზაზე, მუდმივი ძიება, თანამშრომლობა, საინტერესოს ხდის ცხოვრებას. იმედი აცისკროვნებს მომავალს. იმედი არის ჩემი ცხოვრების დევიზი. იმედი არ მოგეშალოთ!

## სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

# ერთი დღე ლამბალოს ალტერნატიული ბაღის აღსაზრდელებთან



**ლამბალოს რწმუნებული მუბარიზ მამედოვი და საბავშვო ბაღის მასწავლებელი თეა გურგენიძე სტუმრებთან**

მიმდინარე წლის 20 ივნისს ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო ლამბალოში გაიხსნა ორი ალტერნატიული საბავშვო ბაღი, რომელთა ძირითადი მიზანია აქაური პატარებისათვის სახელმწიფო – ქართული ენის შესწავლაში დახმარება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მათ ქართული ენის სრულყოფილად დაუფლებისა და ქართულ საზოგადოებრივ სივრცეში სათანადო ადგილის მონახვა-ადაპტირების საქმეში. ეს პროექტი დაფინანსებულია პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 2013 წლის პროგრამა „თანამშრომლობა განვითარების ფარგლებში" – ადგილობრივი თვითმმართველობების მხარდაჭერა სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის. პროექტს ახორციელებს პოლონური ორგანიზაცია „ედუკატორი". მისი პარტნიორია საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკა". ამ ფაქტის შესახებ ჩვენმა გაზეთმა თავის დროზე უკვე მიაწოდა ინფორმაცია დაინტერესებულ მკითხველს. ამ დღეებში აღნიშნული ბაღების აღსაზრდელთა საქმიანობის გასაცნობად კიდევ ერთხელ ვეწვიეთ იმ ალტერნატიულ ბაღს, რომლის მასწავლებელია თეა გურგენიძე.

ვიდრე ლამბალოელ პატარებთან ამ სტუმრობის შესახებ მოგითხრობდეთ, შეგახსენებთ, რომ თეა გურგენიძეს აზერბაიჯანულენოვან სკოლაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ფაქტიურად დაუფლებულია აზერბაიჯანულ ენაზე მეტყველებას, აქედან გამომდინარე, ეს პროექტიცა და აქაური პატარებიც ნამდვილად მოგებულნი არიან მისი ამ პროექტში მონაწილეობით.

თეა მასწავლებელსა და მის აღსაზრდელებს მეტად საინტერესო გაკვეთილის დროს შევუსწარი, როცა ისინი წინა დღეებში ნასწავლი ადამიანის სხეულის ნაწილების თემას იმეორებდნენ. საინტერესო და მიმზიდველი იყო, თუ როგორ გამართულად და უშეცდომოდ იმეორებდნენ ეს 4-5 წლის ბავშვები ნასწავლ თემას.

აი თავი, ეს წარბია, ეს – თვალი, ეს- წამწამი, ეს – ტუჩი, ეს - კბილები და უშეცდომოდ უთითებენ სხეულის დასახელებულ ნაწილებს. განსაკუთრებით გამოირჩევა 3.,5 წლის სურაია სარიევა. მან ქართულად არა მარტო ზუსტად და უშეცდომოდ ჩამოთვალა და მიუთითა თავისი სხეულის ნაწილები, არამედ მოკლე დროში წაიკითხა ლექსები: „გაიღვიძა ყვავილმა", „წერა-კითხვა ვისწავლე", „დედა ენა", „ყოჩაღი ბაჭია".

ეს ქართული ლექსები და კიდევ სხვებიც ჯგუფის ყველა პატარამ ზეპირად იცის. ასევე უკვე იციან რას ნიშნავს, ადექი, დაჯექი, წადი, მოდი, მომეცი... შეუძლიათ შინაური ცხოველებისა და ფრინველების დასახელება, არჩევენ ფერებსა და გეომეტრიულ ფიგურებს. აღსაზრდელების ცოდნის თვალსაწიერს გვაცნობს თეა: – სამეცადინო პროგრამების მიხედვით მათ უტარდებათ სხვადასხვა სახის მეცადინეობები მათემატიკაში, მუსიკაში, ქართულ ენასა და ა.შ. ნეტბუკის დახმარებით ვასმენინებ და ვასწავლი ქართულ სიმღერებს. ისინი უკვე მღერიან ქართულ საბავშვო სიმღერებს: „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა", „ეს საწყალი კურდღელი" და სხვა. ლეპტოპით ვასწავლი საბავშო ცეკვებსაც. მათ ქართულად შეუძლიათ დაგისახელონ და სურათზე მიგითითონ საოჯახო ავეჯი, ნივთები, სამზარეულოს მოწყობილობა, ხილ-ბოსტნეული და სხვა. გვაქვს შესაბამისი სათამაშოები და შეუძლიათ „ჩაის" მომზადება, სუფრის გაშლა, სტუმრის გამასპინძლება. ამის საილუსტრაციოდ პატარებს სთხოვა ჩემი გამასპინძლება. მათაც არ დააყოვნეს. ერთმა ფინჯნით ვითომ ჩაი მომართვა, მეორემ თეფშით სათამაშო მსხალი და ვაშლი მოიტანა. ეს სტუმარ-მასპინძლობა რომ დამთავრდა, თეა მასწავლებელმა ნახატების დახმარებით ოჯახის წევრების გაცნობა-შეწავლა დაუწყო. დედა, მამა, პაპა, ბებია, ბიჭი, გოგო. ჯერ მარცვალ-მარცვალ, შემდგომ კი მთლიანად და მათვე ასახელებინებდა შესატყვის აზერბაიჯანულ სიტყვებს. როცა დარწმუნდა, რომ პატარებმა კარგად აითვისეს მასალა, სათამაშოდ დასვენება გამოუცხადა და კვლავ დაწყებულ საუბარს მიოუბრუნდა.

– ყველაფერი, რასაც აქ ხედავთ, პოლონური მხარის შეძენილი და დაფინანსებულია. გვაქვს მრავალფეროვანი სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოების მასალები. რაც შეეხება ოთახის მოწყობას, ამაში ლამბალოს რწმუნებული მუბარიზ მამედოვი დაგვეხმარა. მან თავისი საკუთარი ხარჯებით შეიძინა საღებავები, დაიქირავა მუშები და გააკეთა რემონტი. ეს ფარდები, კარნიზები და ყვავილები საკუთარი სახლიდან მოვიტანე. ეს სურათები კი, კედლებს რომ ამშვენებს, ჩემი ნახელავია. მეცადინეობებს ვატარებ პოლონეთის მხარის მიერ შედგენილი პროგრამების მიხედვით. შედგენილი გვაქვს დღის განრიგი, ერთთვიანი სამუშაო გეგმა, ჩამოვაყალიბეთ მუშაობის ძირითადი პრინციპები, მასწავლებლისა და ძიძის მოვალეობები და სხვა. მეცადინეობებს ვიწყებ დილის 9 საათზე, რომელიც 13 საათამდე გრძელდება. შემდეგ პატარები ოჯახებში ბრუნდებიან. სადღეისოდ ჯგუფში 17 აღსაზდელია. სექტემბრის ბოლოსათვის მათი რიცხვი გაიზრდება, რადგან მთაში წასული ოჯახები სოფელში ბრუნდებიან. სულ მათ სწავლა-აღზდას 1 მასწავლებელი და მშობლების მიერ დაქირავებული 1 ძიძა ვემსახურებით. რაც შეეხება თვითონ პროექტს, იგი ექვსთვიანია და დეკემბრის ბოლომდე გაგრძელდება. ამის შემდეგ ზემდგომი ორგანოების გადასაწყვეტია, თუ რა გაგრძელება ექნება ამ პროექტსა და საქმეს.

ახლახანს ჩვენთან მონიტორინგზე იყვნენ პოლონეთის აღმოსავლეთის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენლები და შეგვპირდნენ, რომ მასწავლებლის კაბინეტს გაარემონტებენ და ამისთვის საჭირო მასალას თვითონ შეგვიძენენ. ამასთან, საჩუქრად წიგნები, სათამაშოები, ფერადი ფურცლები და სამეცადინოდ სხვა დამხმარე მასალა გადმოგვცეს.

*გ. დაბახიშვილი*



**ეს გოგო-ბიჭები ქართულ ენას სწავლობენ**



ფიქრი, აზრი, განსჯა

ფიქრი, აზრი, განსჯა

# როგორი პრეზიდენტი მინდა ჰყავდეს საქართველოს?!

**27 ოქტომბერს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებია. წინასაარჩევნო ვნებათაღელვა მალე კულმინაციას მიაღწევს. მართალია, საქართველოს უდიდესი ჭირისუფალი და მამულიშვილი დიდი ილია ამ წერილში XIX საუკუნის თბილისელ ამომრჩეველს მიმართავდა, მაგრამ, არც XXI საუკუნის ამომრჩევლისათვის იქნება ურიგო – გავეცნოთ ილიას დარიგებას და არჩევნებისათვის, ჩვენი არჩევანის გაკეთებისათვის სწორად მოვემზადოთ.**

ი. ჭავჭავაძე

## არჩევნები

– ყველამ რომ ერთად თბილისის პატრონობა და მოვლა მოვინდომოთ, ეს შეუძლებელია. კანონმა ეს კარგად იცის და ამიტომ დაგვიწესა: უკეთესნი კაცნი, რიცხვით 80, ამოირჩიეთ თქვენს შორის და იმათ მიანდეთ ეგ პატრონობა და მოვლაო. თუ ჩაუფიქრდებით, ჩვენთან ერთად თქვენც იტყვით, რომ ეს სახუმარო საქმე არ არის, რადგან გულმრუდობით აქეთ თუ იქით წასულ ერთ კენჭსაც კი შეუძლია იმისთანა კაცები დასვას საბჭოში, რომ მერე მთელი თქვენი მშობელი ქალაქი, თქვენ თვითონ, თქვენი ოჯახი და ცოლ-შვილი თავსა და პირს იხოკდეთ, – ეს რა ღმერთი გაგვიწყრა, როგორ ამოვირჩიეთ ეს ჩვენი წარმწყმედელნი და დამღუპველნიო? იცოდეთ, დიდი ცოდვა და მადლი თანა სდევს არჩევანს და ვიდრე ხელი კენჭის ჩასაგდებად დაიძრება, თქვენს ნამუსს, თქვენს სინდისს, თქვენს გულსა და ჭკუას რამდენჯერმე დაეკითხეთ – ვინ არის ღირსეული და ვინ არა... აქ ვინც იმას უმტყუნებს და უღალატებს, რასაც სინდისი, ნამუსი და კაცური კაცობა ამხელს, იგი უმტყუნებს და უღალატებს თავის თავს, თავის ცოლ-შვილს, ოჯახურ ბედნიერებას და კეთილდღეობას... გულს ნუ გაიმრუდებთ, სულს ნუ წაიწყმედთ. იცოდეთ! ეს დიდი საქმე თქვენს სინდის-ნამუსსა და პატიოსნებას აბარია. აღსენეთ ღმერთი და ღმრთისა და სიმართლის სახელით შეუდექით არჩევნების დიდ საქმეს და მარჯვენას თქვენსას ის არ აქმნევინოთ, რასაც გული და სინდისი არ გეუბნებათ.

## მამულიშვილობა

ბევრ წყალს ჩაუვლია ქვეყანაზე, მაგრამ გვგონია, ადამიანს ბევრჯერ არ უნახავს ამისთანა გამოურკვევლად ყოფა, რა ყოფაშიც ერთობ გულდაწყვეტილია ყველა, ძალღონემიხდილია, მოდუნებული. ჰაერი გარშემო დახშულია, ადამიანს სული ეგუბება, სული სხეულში ვეღარ მოუტრიალებია... გუშინდელი დღე ყველას მოსწყინდა, დღევანდელი დღე ყველას შესძაგდა, და თუ დაგვრჩა რამე ნიშნად სიცოცხლისა, სულდგმულობისა, – ეგ ხვალინდელის ლოდინია. გული ნდომით დამძიმებულია და სული მაგ ლოდინითა. სულ ველით, რაღაცას ველით გამსუნაგებით, მაგრამ ლოდინი ლოდინად გვრჩება. ეგ ლოდინია საყოველთაო სატკივარი დღევანდელი დღისა. ეგ ლოდინია ის ახალი სენი, რომელიც ყოველ საქმეში, ყოველ შემთხვევაში გვათქმევინებს ხოლმე: ვინ იცის ხვალ რა იქნებაო. ეგ ლოდინი არავის სულს არ უხუთავს, როგორც იმას, ვისაც გული სხვისთვისაც ისე უცემს, როგორც თავისთვის, ვისაც სხვისი ბედი თავის ბედთან შეუერთებია, ვისაც „მე და ჩვენ“ განუყოფლად მიაჩნია, ერთარსებად ურწმუნებია, ერთი სიტყვით – ვინც მამულიშვილობის სახელის ღირსი შექმნილა.



ჩემი დიდი სურვილია საქართველოს ჰყავდეს ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი პრეზიდენტი, ღვთისმოშიში და მოყვარული, მოყვარული თავისი ერის, თავისი ხალხის, ერთგული თავისი სამშობლოსი, ქართული ტრადიციების მიმდევარი, დამცველი და მატარებელი. ბრძენი, კეთილი, თავმდაბალი, კეთილსინდისიერი „სინდისი“ – უძვირფასესი ზნეობრივი განძია ადამიანისა, არა საქმეში უზნეობა, უპატიოსნება არ გაურიოს, არ შემოიღოს საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინება და ჯვრისწერა, არ დაუშვას მათი აღლუმების ჩატარება და მომავალი თაობისათვის უზნეობის რეკლამის გაკეთება. არ დართოს ნება ქართულ ეკლესია-მონასტერთა სხვა სარწმუნოების მიმდევართა – სინაგოგებისა და მეჩეთების აშენება, დაიცვას ქართული მიწის ერთი გოჯიც კი და არ დაუშვას სხვა ეროვნების ხალხზე – არაბებზე, ინდოელებზე, ჩინელებზე და სხვებზე გაყიდვა და გასხვისება, ქართველს ქართველობა დაუბრუნოს და ნუ გააევროპელებს. აკრძალოს ჩიპიანი პირადობის პასპორტების შემოღება, იყოს დიდი მოაზროვნე, კარგი პოლიტიკოსი, გულშემატკივარი თავისი ხალხისა, სულიერად ძლიერი, უდიდესი პატრიოტი და არა სკამისა და ფულის მოყვარული და საზღვარგარეთის მიერ მითითებების შემსრულებელი, დიდი მამულიშვილი, მსგავსი ჩვენი დიდი მეფეებისა დავით აღმაშენებლისა, ვახტანგისა, თამარისა, ლუარსაბისა, გიორგი ბრწყინვალისა და სხვათა და სხვათა, რომელთა სახელებიც საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი, ვისითაც ამაყობს დღეს ქართველი ერი და რომელთა ხსოვნა ქართველის გულში სამარადისოდ არის შენახული.

და თუ უფალი აპატიებს ცოდვებს ჩვენს ერს, მაშინ მოჰმადლებს საქართველოს ღირსეულ პრეზიდენტს.

ღმერთმა დალოცოს და ღმერთს ებარებოდეს ქართველი ერი.

*ქეთევან ყორღანაშვილი,*

***საქართველოს გულშემატკივარი, ერზე მლოცველი, რელიგიის, ისტორიისა და კულტურის მასწავლებელი***

**სალომე შიოშვილი** – ***ნინოწმინდის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე:***

ხშირად სახელმწიფოს სათავეში მდგარი პირები განსაზღვრავენ ქვეყნის მომავალსა და მის ბედს. ამიტომ საზოგადოება ცდილობს ყოველთვის ღირსეული და კეთილშობილი თვისებებით შემკული მმართველის არჩევას. რა თქმა უნდა, ეს ძიება ბევრი რამის გათვალისწინებას მოითხოვს, მაგრამ მაინც როგორი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი?! სანამ უშუალოდ გადავალ მომავალი პრეზიდენტის დახასიათებაზე, მსურს საკუთარი გულისტკივილი გამოვთქვა იმის შესახებ, რომ მე და ჩემს თანატოლებს, ასაკიდან გამომდინარე, არ გვეძლევა საშუალება წვლილი შევიტანოთ ქვეყნის მმართველის არჩევაში, თუმცაღა საკუთარი შეხედულების გამოთქმას მაინც შევეცდები.

ჩემი აზრით, საქართველოს მომავალი ლიდერი უნდა იყოს პირველ რიგში სამშობლოზე და თავის ხალხზე შეყვარებული მართლმადიდებელი ქრისტიანი, ღირსეული, კეთილგონიერი, ბრძენი პოლიტიკოსი. ჯერ კიდევ ძვ.წ. V ს-ში მოღვაწე ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი ამბობდა, რომ „სახელმწიფო მანამდე ვერ დააღწევს თავს უბედურებას, ვიდრე მას სათავეში არ ჩაუდგებიან ფილოსოფოსები“. მე ვეთანხმები პლატონის მოსაზრებას, რადგან უგუნური მმართველი ვერ შეძლებს ქვეყნის მომავლის ღირსეულად წარმართვას, თუმცაღა, „ზოგი ადამიანი იქნებ ყველაფრით, ათასი საუკეთესო ღირსებით იყოს შემკული და მათი სწორად გამოყენების უნარი კი არ გააჩნდეს, ღირსებები ერთი მონაცემია და მათი სწორად გამოყენების უნარი მეორე“. ამიტომაც ქართველი ერი უდიდესი პასუხისმგებლობის წინაშე დგას, რადგანაც, ხშირ შემთხვევაში ხალხი წარმართავს ქვეყნის მომავალს თავისი არჩევანით.



**ნინო ბუზარიაშვილი** – ***საგარეჯოს III საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე:***



მინდა მყავდეს ძლიერი, ნიჭიერი, სამართლიანი, პატრიოტი ქართველი და მართლმადიდებელი პრეზიდენტი.

ბავშვობიდანვე ვოცნებობდი თავისუფალ, ძლიერ, ლაღ და გამთლიანებულ საქართველოზე. ასევე, მინდა დაასაქმოს ქართველი ერი, დაეხმაროს მოხუცებს და საქართველოს ყველა რეგიონში ააშენოს გასართობი პარკები, აუზები, შექმნას ტურისტული განვითარების ცენტრები, აიღოს პასუხისმგებლობა სახელმწიფოს მართვაზე და გაძლიერებაზე.

მინდა, რომ პრეზიდენტმა დააბრუნოს ოქროს ხანა, აღადგინოს დაკარგული ტერიტორიები და მიჰყვეს დავით აღმაშენებლის გზას (გაატაროს რეფორმები). ასევე ჩემი სურვილია, მეტი დრო დაუთმოს ინკლუზიურ განათლებას და ასეთი ადამიანები დაასაქმოს. საქართველოს პრეზიდენტი შეიძლება ქალიც იყოს, მაგრამ მე კაცს მივანიჭებდი უპირატესობას, რადგან ის ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალია.

ჩემს ოცნებაში ასეთია საქართველოს პრეზიდენტი. ალბათ დადგება ის დრო, რომ ჩემი ოცნება რეალობად იქცევა.

**მარიამ კუჭუაშვილი** – ***საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე***



მსოფლიოს ახსოვს ბევრი საუკეთესო და სახელგანთქმული ქვეყნის პირველი პირი. არსებობდნენ ისეთი პრეზიდენტები, რომლებმაც სახელი გაითქვეს და დაიმკვიდრეს თავიანთი მოწინავე იდეებითა და ხალხზე ზრუნვით. ისეთი პრეზიდენტი მინდა მყავდეს, რომელიც იზრუნებს ხალხზე და მათ კეთილდღეობაზე. მინდა, რომ ჩემი ქვეყნის სახელი წარმატებულად და ღირსეულად წარმოაჩინოს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. მოხარული ვიქნები, თუ ჩემი პრეზიდენტი ისეთი წარმატებული პრეზიდენტების სიაში შევა, როგორებიც იყვნენ ჯორჯ ვაშინგტონი, აბრაამ ლინკოლნი, მაგრამ მან უფრო მეტი უნდა გააკეთოს საქართველოს გასაერთიანებლად, მეტი პასუხისმგებლობა აქვს, რადგან საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა.

**გიორგი ქოქიაური** – ***თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის მიმართულების IV კურსის სტუდენტი:***



დავიწყებ იმით, რომ არ არსებობს ადამიანი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტად „ივარგებს“. აქ უნდა ფრთიანი ანგელოზი – ეგეთები კი დედამიწაზე არ დადიან.

პრეზიდენტი, როგორც ყველა ადამიანია თავისებურებებით, პლუსებით და მინუსებით. ჩვენთან, როგორც წესი, მინუსები უფრო ჩანს, ვიდრე პლუსები. ასე, რომ დასვი აქ პრეზიდენტად იდეალური ადამიანი და ერთ თვეში მას გადააქცევენ „მონსტრად“.

საუკუნეების მანძილზე გვჭირს ჩვენ ეს სენი – შური, ღალატი და ერთმანეთთან ჭიდილი. ვინმე თუ წინ წაიწევს და კარგს გააკეთებს, იმის მაგივრად, რომ მას მიბაძონ და უფრო კარგი გააკეთონ, წამოგორდებიან მხარ-თეძოზე და ჭორაობენ იმაზე, რა გააკეთა ცუდი. საქართველოს ბევრი ჰყოლია ისეთი შვილი, რომლებმაც ძალიან ბევრი გააკეთა თავისი ქვეყნისათვის, მაგრამ შურით მიწასთან გაასწორეს საბოლოო ჯამში.

სამწუხაროა, მაგრამ ძალიან ბევრს დღესდღეობით არ ესმის რას ნიშნავს სამოქალაქო თვითშეგნება და სამშობლო მარტო სადღეგრძელოში უყვართ.

ასე, რომ საზოგადოება მხარში თუ არ ამოუდგა პრეზიდენტს და არ შეეშვა მის ცუდზე ლაპარაკს, წინ ვერ წავალთ. მარტო კაცი საქმეს დიდხანს ვერ გაუძლებს. დღევანდელ სიტუაციაში დაყოფვის და დაქსაქსვის დრო არ გვაქვს. ქვეყანა უკან მიდის და ძალიან დიდი საფრთხეების წინაშე შეიძლება დავდგეთ უახლოეს მომავალში, თუ საზოგადოება არ მოვიდა გონს და არ ამოირჩია ისეთი პიროვნება, რომელსაც ექნება სახელმწიფოებრივი აზროვნება ჩამოყალიბებული, დაიცავს კანონს და იქნება ერთგული თავისი ქვეყნის დემოკრატიულობის. ისე უნდა ზრუნავდეს სამშობლოს იერ-სახეზე, როგორც საკუთარის კეთილმოწყობაზე, ამაყობდეს საკუთარი ქვეყნის ძლიერებით და წინსვლით. პატივს სცემდეს განსხვავებულ აზრს. მეტ-ნაკლებად უნდა ერკვეოდეს ეკონომიკაში, იყოს კორექტული, გაწონასწორებული, პატიოსანი თავისი საქმისა და ქვეყნის პატრიოტი, სწავლობდეს, შრომობდეს და ლოცულობდეს, იცავდეს თავის სამშობლოს.

**შახრათ ხუბანოვი** – ***ლამბალოს საჯარო სკოლის პედაგოგი, იორმუღანლოს მცხოვრები:*** –



პრეზიდენტი ახლოს უნდა იყოს თავის ამომრჩევლებთან, გაიზიაროს მათი აზრი, მოუსმინოს მათ გასაჭირს და ეცადოს – პრობლემები მოაგვაროს ძალიან მარტივი, მაგრამ მოსახლეობისათვის ძალიან რთული – სასმელი წყალი, გზა, ქუჩა.

**ანარ რასუმოვი** – ***იორმუღანლოს მცხოვრები:*** –



პრეზიდენტი ყველა ადამიანისთვის სასურველი კაცი, სასურველი პიროვნება უნდა იყოს. მან თითოეულ კაცზე და თითოეულ ოჯახზე უნდა იფიქროს და იზრუნოს. კარგად უნდა იცოდეს საქართველოს ყველა კუთხის, რაიონის, სოფლის გასაჭირი და პრობლემა. გაეცნოს, მოიფიქროს პრობლემების მოგვარების საშუალებები და ხალხს ნორმალური ცხოვრების პირობები შეუქმნას.

**არზუმან აბასოვი** – ***იორმუღანლოს მცხოვრები:*** –



საქართველოს პრეზიდენტი მორწმუნე უნდა იყოს, მას უნდა სწამდეს სამართლიანობის. თვითონ სამართლიანი უნდა იყოს და სხვებსაც მოსთხოვოს სამართლიანობა.

**რიზვან მამედოვი** – ***ლამბალოს მცხოვრები:***



– ყველა პრეზიდენტს უნდა ესმოდეს თავისი ხალხის, მჭიდრო კავშირში უნდა იყოს ხალხთან და ასეთ შემთხვევაში ხალხიც გაუგებს და გაუადვილებს პრობლემების მოგვარებას.

**მამად თალიბოვი** – ***ლამბალოს მცხოვრები:***



საქართველოს პრეზიდენტი სახალხო პრეზიდენტი უნდა იყოს, ხალხის უნდა ესმოდეს. ამ ეტაპზე უნდა გადახედოს მიწის საკითხს და შეძლებისდაგვარად ყველას უნდა შეახვედროს თავისი ოჯახის მარჩენალი მიწა.

№17(55) 2013 წელი, 1-15 სექტემბერი

## მილოცვა



ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებას და თბილისის ილიას სახელობის უნივერსიტეტის ბიზნეს-ადმინისტრირების მიმართულების პირველკურსელობას ვულოცავთ ***საქართველოს არაერთგზის ჩემპიონს ჭადრაკში*** (10, 14,20 და 18 წლიანებში), ჩვენს სასიქადულო მოჭადრაკეს **ნანი უნაფქოშვილს**. ვუსურვებთ კვლავაც დიდ გამარჯვებებს საჭადრაკო ხელოვნებასა და წარმატებებს სწავლაში.

*გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია*



ტყუპი შვილიშვილების – პაატას და მარიამის შეძენას ვულოცავთ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს პაატა ბუზარიაშვილს.*** გაზრდილიყვნენ სასახელო ქართველები და თავიანთი კარგი ადამიანობით ესახელებინოთ დიდი და წარმატებული გვარი.

*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო*

შვილიშვილის შეძენას ვულოცავთ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს ვაჟა ბაზერაშვილს***. გაზრდილიყოს საქართველოს ღირსეული ვაჟკაცი.

*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო*



დაბადების დღეს ვულოცავთ ***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსს, აგროინჟინერიის მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს ნიკო ჯავახიშვილს***. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, წინსვლასა და ნაყოფიერ მეცნიერულ საქმიანობას, ბედნიერებას თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

*თანამშრომლები*



დაბადების დღეს ვულოცავთ ***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარ სპეციალისტს გივი მათიაშვილს***. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს და ბედნიერებას თავის საყვარელ ოჯახთან ერთად.

*თანამშრომლები*

## 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის

### ინფორმაციული ტრენინგი

# „ქალები მომავლისათვის“

10 სექტემბერს საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში არასამთავრობო ორგანიზაციამ „ქალები მომავლისათვის“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ჩაატრა ინფორმაციული ტრენინგი კახეთის რეგიონის სხვადასხვა ასაკის აზერბაიჯანელი ეროვნების ამომრჩევლებისათვის. ინფორმაციული შეხვედრა უშუალოდ დაგეგმეს და განახორციელეს ამ ორგანიზაციის დამფუძნებელმა მაია ბეიტრიშვილმა და პროექტში მონაწილე სოფიო მანძულაშვილი-ხარებავამ.

პროექტის ძირითად თემასთან „2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები“ შეხვედრამდე დამსწრეებმა თავიანთი თავი და საარჩევნო გამოცდილება წარუდგინეს და გააცნეს ერთმანეთს. ჩატარდა წერილობითი გამოკითხვა მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით, რის შემდეგაც ტრენინგის წამყვანი სოფიო მანძულაშვილი-ხარებავა მსმენელებს ესაუბრა მომავალ საპრეზიდენტო და სხვა არჩევნებზე. ისაუბრეს ამომრჩეველთა უფლებებზე, პრიორიტეტებზე, საარჩევნო ხმის უფლების და სხვა ძირითადი საკითხების შესახებ. ჩატარდა დისკუსია, სადაც ხაზი გაესვა თანამედროვე საზოგადოების ჩართულობისა და მისი როლის ამაღლებას ქვეყნის მართვის საკითხებში.

ასევე ტრენინგის წამყვანი მოწვეულთ ესაუბრა ამომრჩეველთა უფლებებზე, მათ მიერ საჭირო საინფორმაციო მასალების მოპოვების გზებსა და საშუალებებზე, და პრაქტიკულადაც გააცნო ეს პროცესი. მოეწყო საარჩევნო პროცესის ინსცენირება. ტრენინგის დასასრულს მონაწილეთ დაურიგდათ ქართულ-აზერბაიჯანულ ენებზე შედგენილი საინფორმაციო ლიფლეტები მოსახლეობაში გასავრცელებლად.

*გ. დაბახიშვილი*

# „პატარძეულის ვეფხვების“ სამიზნე უმაღლესი ლიგაა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების რაგბის კლუბი „პატარძეულის ვეფხვები“ დაარსდა 2001 წელს, პატარძეულთან მემკვიდრეობით დაკავშირებული საქართველოს რაგბის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის მალხაზ ურჯუკაშვილის ინიციატივით. მან ამ ინიციატივის ხორცშესასხმელად პატარძეულში თბილისიდან მოიწვია ახალგაზრდა მწვრთნელები ზვიად ცუხიშვილი და ზურაბ ამონაშვილი და როგორც ამბობენ, „ნულიდან“, სრულიად არაფრიდან დაიწყო საქმის კეთება. ამ ინიციატივას პატარძეულში დიდი გამოხმაურება მოჰყვა და რამდენიმე კვირაში სპორტის ამ სახეობაში სავარჯიშოდ მწვრთნელებს უკვე 120-მა ბავშვმა მიაკითხა.. საერთო მოწადინებამ და შემართებამ შედეგი მალე გამოიღო და კლუბის შექმნიდან მეორე წელს, 1991-1992 წელს დაბადებული ბიჭების გუნდმა საქართველოს ჩემპიონატის გათამაშებაში „შვიდკაცა რაგბიში“ პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო მომდევნო 2003-2004 წლებში – მეორე ადგილი.

2005 წელს პატარა პატარძეულელი მორაგბეები კლუბ „ლელოს“ მიერ ორგანიზებული ღონისძიების „ყოჩივარდას“ თასის მფლობელები გახდნენ.

2007 წელს კლუბის ორი ასაკობრივი ჯგუფის – 1991-1992 და 1993-1994 წლებში დაბადებული მორაგბეები იმყოფებოდნენ საფრანგეთში, კახეთთან დაძმობილებული იონის მხარის ქალაქ ოსერში, სადაც მოიგეს იქაურ თანატოლებთან გამართული 12 ოფიციალური და ორი ამხანაგური შეხვედრა და ორივე ასაკობრივ ჯგუფში პირველი ადგილები დაიკავეს.

ამ წარმატებების შემდეგ „ვეფხვებიდან“ შევსება მიიღეს საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებებმა, მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ვანო გაბროშვილი (დაბადებული 1991 წელს), რომელსაც მონაწილეობა აქვს მიღებული ყველა ასაკობრივი ნაკრების თამაშებში. იგი არის 19 წლამდე ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო ალაფის მეორეადგილოსანი. ამჟამად ირიცხება საქართველოს ჩემპიონი კლუბის „არმიის“ შემადგენლობაში.

მურაზ გიორგაძე, დაბადებულია 1994 წელს. მას საქართველოს ყველა ასაკობრივი ნაკრების შემადგენლობაში აქვს ნათამაშები. არის ევროპის ჩემპიონი. წელს კი საქართველოს „ქვიშის რაგბის“ ეროვნულ ნაკრებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ევროპის ჩემპიონატში.

დაჩი ელერდაშვილი, დაბადებული 1996 წელს, ირიცხება საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრებში.

იმისათვის, რომ არ მომხდარიყო კლუბის მოთამაშეთა გადინება და ძირითადი კონტიგენტის შენარჩუნება, 2012 წლიდან კლუბი ჩაერთო საქართველოს ჩემპიონატის I ლიგის გათამაშებაში (დიდებში). ამ ლიგაში სულ საქართველოს 16 გუნდი, 9 აღმოსავლეთ, 7 კი დასავლეთ საქართველოდან იღებდა მონაწილეობას. აქედან „ვეფხვებმა“ აღმოსავლეთ ზონაში ცხრა გუნდში II ადგილი დაიკავეს და გავიდნენ პლეი-ოფში, სადაც მონაწილეობდნენ ამ ზონებიდან 1-2 ადგილზე გასული გუნდები და შეძლეს მესამე ადგილის დაკავება.

ეს გუნდები პირველი სექტემბრიდან კვლავ ჩაება წლევანდელი საქართველოს I ლიგის გათამაშებაში და პირველივე მატჩი დიდი ანგარიშით 26:5 მოუგეს თბილისის „ჯვაროსნებს“.

შეგახსენებთ, რომ ამ გათამაშებაში უკვე საქართველოს 18 გუნდი (10 აღმოსავლეთი და 8 დასავლეთი) იღებს მონაწილეობას. ისევ იქნება პლეი-ოფი და I ადგილზე გასული გუნდი ადის უმაღლეს ლიგაში, რაც პატარძეულელი მორაგბეების სამიზნედაა ქცეული. როგორც ჩვენთან საუბარში კლუბის მენეჯერმა სანდრო პავლიაშვილმა აღნიშნა, ეს გუნდი ზურა ამონაშვილის მიერ წვრთნას პატარძეულში გადის და ყველა სათანადო პირობა აქვს შექმნილი ნორმალური ვარჯიშების ჩასატარებლად. ისინი ასევე, სარგებლობენ თბილისში, ვარკეთილში არსებული მალხაზ ურჯუკაშვილის სპორტდარბაზით. ბ-ნი სანდროსგან შევიტყვეთ, რომ კახეთში ერთადერთი რაგბის გუნდის ახალი გასახდელის აშენებას შეპირებია ნავთობკომპანია „კანარგო-ჯორჯიას“ ხელმძღვანელობა, რაც მათ კიდევ უფრო შეუწყობს ხელს დასახული მიზნის მიღწევაში.

რაოდენობრივად და შედეგობრივადაც იზრდება კლუბის ჭაბუკთა და ბავშვთა გუნდების შემადგენლობები. თუ 2012 წლამდე კლუბში იყო ჭაბუკთა ერთი გუნდი, მიმდინარე წლისათვის უკვე 2 გუნდია და მასში პატარძეულელბის გარდა დადიან კაკაბეთელი, გიორგიწმინდელი, საგარეჯოელი, ხაშმელი მოზარდები. მათი წვრთნა საგარეჯოს სტადიონზე მიმდინარეობს და მონაწილეობას იღებენ საქართველოს ჩემპიონატის ა და ბ ლიგის გათამაშებებში, სადაც ცხრილის საშუალო ადგილები უკავიათ. გარდა აღნიშნულისა, ჭაბუკთა ლიგიდან საქართველოს რაგბის აკადემიაში (სადაც თავს იყრიან საქართველოს გამორჩეული, ნიჭიერი ბავშვები) ჩარიცხული არიან გიორგი მუჩიაშვილი, შოთა შალვაშვილი (ორივე პატარძეული) და ზურა ოთიაშვილი (კაკაბეთი).

საქართველოს რაგბის კავშირის სკოლის აღსაზრდელები არიან ლაშა მუჩიაშვილი (პატარძეული) და ოთარ ზუკაკიშვილი (საგარეჯო). ყველა მათგანი ითვლება საქართველოს შესაბამისი ნაკრების კანდიდატად.

არსებობის 12-წლიანი ისტორიის მანძილზე კლუბში დაფრთიანდნენ და უკვე სხვათა მწვრთნელთა რანგში მოგვევლინნენ ვეფხია უსტიაშვილი, თენგიზ ნარიმანიშვილი, ლადო უნაფქოშვილი, მურად გიორგაძე.

იმედია, ამ 12 წლის წინ დაწყებულ საქმეს ღირსეული გაგრძელება ექნება და „ვეფხვები“ მომავალშიც კვლავაც იტყვიან თავიანთ სიტყვას სპორტის ამ პოპულარულ სახეობაში.

*გივი დაბახიშვილი*

## ხსოვნა

### ლალი დარბაისელი



კიდევ ერთი ტკივილით სავსე წელი უშენოდ! უკვე მერამდენედ ვხვდებით ამ მშვენიერ დღეს ყველასათვის სათნო და საყვარელი ქალის, ჩვენი მზრუნველი და მოსიყვარულე დედის გარეშე.

დრო გადის, ჩვენი ცხოვრება კი ყოველდღიურად იცვლება. ბევრი რამაა ცუდი თუ კარგი, რომ გაგიზიაროთ და ისევ ძველებურად ვიგრძნოთ შენი მხარდაჭერა, მაგრამ ყოველთვის გვიწევს ისეთი ადამიანების ძებნა, ვისშიც რაიმე დედობრივს ვიპოვით და თავს ვინუგეშებთ. გამუდმებით ვცდილობთ გულის გამაგრებას, მაგრამ ძალიან ძნელი ყოფილა უშენობა, არა მარტო ჩვენთვის, მთელი შენი ოჯახისათვის, ნათესავებისთვის, მოხუცი დედისთვის, რომელიც მთელ ცხოვრებას შენზე დარდში ატარებს, შენი მოგონებებით ცოცხლობს და თვალის ყოველი გახელისას უფალს შენთან ყოფნას სთხოვს. შენმა დაკარგვამ ყველას ძალიან გვატკინა გული, მაგრამ იმის იმედს არასოდეს დავკარგავთ, რომ შენი სული ყოველთვის ჩვენთანაა და ცხოვრების გზას გვიკვალავს. შეიძლება ზოგისათვის გაუგებარი ან ბავშვურიც იყოს, მაგრამ ჩვენი ყოველი ნაბიჯი იდგმება იმაზე ფიქრით, რომ დედას მოეწონოს და გაუხარდეს.

შენი ლამაზი ხსოვნა მუდამ იარსებებს ჩვენს გულებში, შენ კი გთხოვთ ილოცო ყველასათვის, ვის გულშიც დიდი სიცარიელე და მონატრება დატოვე.

*დიდი სიყვარულით და მონატრებით შენი შვილები: შალვა და ნანი უნაფქოშვილები*

### დათო მალასიძის მონატრება



14 სექტემბერს 69 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ, ვაი, რომ ჩვენს გვერდით აღარ ხარ. მეხის გავარდნას ჰგავდა შენი სიკვდილი. მშრომელი, დაუზარელი და გამრჯე კაცი იყავი. წინა დღესაც ვენახში ნამუშევარმა იმ იმედით დაიძინე, რომ მეორე დღეს ადგებოდი და ვენახს შეწამლავდი, მაგრამ დილით ლაპარაკში ისე ამოგივიდა სული, რომ ვერც კი მივხვდით, რა დიდი უბედურება ხდებოდა ჩვენს თავს. ყველას ძალიან გვენატრები, განსაკუთრებით კი შენს მეუღლეს, რომელიც შენი სიკვდილის მერე მარტო დატოვე. გიყვარდა შენი ოჯახი, შვილები, შვილიშვილები. როგორი დაღლილიც უნდა ყოფილიყავი, ბავშვებს მაინც არ აწყენინებდი, დაუჯდებოდი და კარტს ეთამაშებოდი.

როდესაც ყველანი შევიკრიბებით, მარტო შენ გვაკლიხარ. გელოდებით, თითქოს ისევ ვენახში ხარ და უნდა მოხვიდე, მაგრამ კედელზე დაკიდებულ შენს სურათს რომ დავინახავთ, ვხვდებით, რომ ცოცხალი აღარ ხარ.

ღმერთმა გაანათლოს შენი სული. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური მიწა.

*შენი ოჯახი*

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@tmail.ru

## რეკლამა

ფერადი ბეჭდვა მაისურზე, ჭიქაზე, ზურგჩანთაზე, ტორტზე და ა.შ.

ფერადი ქსეროქსი ფოტოგრაფიული ხარისხით;

ბეჭდვა მაისურზე, ჭიქაზე, ქვაზე, ზურგჩანთაზე, ტორტზე და ა.შ. სრული ინფორმაცია საიტზე: WWW.mad-studio.ge.

ქ. საგარეჯო. ტელ:
571 717 889;
599 17 26 22.